სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

18 / ნოემბერი / 2024 წ.

KA080143185302424

№ **3128**

განკარგულება

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT230026200;

შესყიდვის ობიექტი: 71500000 – მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები;

მიმწოდებელი: შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ (ს/ნ: 400165405);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 17 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 17 ოქტომბრის № 88-882429146 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 8640), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ (ს/ნ: 400165405) მიერ NAT230026200 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2024 წლის 16 იანვრის №40 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის info@emg.ge მეშვეობით, 2024 წლის 21 ოქტომბრის №2994 წერილით, აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2024 წლის 28 ოქტომბრის სააგენტოში წარმოადგინა 2024 წლის 28 ოქტომბრის №g1340 განმარტება (რეგისტრაციის № 8890) მის მიერ NAT230026200 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2024 წლის 16 იანვრის № 40 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელი არ ასრულებდა 2024 წლის 16 იანვრის №40 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის გამოც შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეწყვიტა ხელშეკრულება.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელი არ ეთანხმება მისი შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნას და აღნიშნავს, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება, ავტომატურად არ წარმოადგენს მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის საფუძველს, რამდენადაც შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნა დაკავშირებული არ იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასთან/ შეუსრულებლობასთან. მიმწოდებლის განმარტებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილებას უკავშირებს მიმწოდებლის აკრედიტაციის სფეროს შეჩერებას, რის შემდეგაც მათი შეფასებით კომპანიის მხრიდან ადგილი ჰქონდა ვალდებულების არაჯეროვან შესრულებას. შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტება არ შეესაბამება არც ფაქტობრივ მოცემულობას და არც სამართლებრივ რეალობას, რადგან მიმწოდებლისათვის აკრედიტაციის სფეროს შეჩერების კანონიერება სასამართლოშია გასაჩივრებული და მიმწოდებლის მხრიდან სადავოდ არის გამხდარი. შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ იმსჯელა და მხედველობაში არ მიიღო ფორს-მაჟორული მდგომარეობა, რომლის თანახმადაც, მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობით თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით. მიმწოდებელი აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 15 აპრილის განჩინება, რომლითაც ძალაში შევიდა აკრედიტაციის კომიტეტის 2021 წლის 5 ნოემბრის №23 ოქმისა და აკრედიტაციის ცენტრის 2021 წლის 8 ნოემბრის №01/86 განკარგულება – „შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“-ს ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფეროს ნაწილობრივ შეჩერების თაობაზე“, არ წარმოადგენს საბოლოო გადაწვეტილებას და შეეხება დროებითი ხასიათის საკითხებს. აკრედიტაციის კომიტეტის 2021 წლის 5 ნოემბრის №23 ოქმისა და აკრედიტაციის ცენტრის 2021 წლის 8 ნოემბრის №01/86 განკარგულების კანონიერების შემოწმების მიზნით მიმწოდებელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომელზეც საბოლოო გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 9 თებერვლის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მიმწოდებლის შუამდგომლობა გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე. სსიპ „აკრედიტაციის ერთიანმა ეროვნულმა ორგანომ – აკრედიტაციის ცენტრმა“ 2024 წლის 19 თებერვალს კერძო საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 9 თებერვლის განჩინების გაუქმება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 15 აპრილის №3ბ/512-24 განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა კერძო საჩივარი, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 9 თებერვლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც მიმწოდებლის შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და შეჩერდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ნაწილის მოქმედება, კერძოდ, შეჩერდა სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ 2021 წლის 16 ივლისის აკრედიტაციის კომიტეტის №16 სხდომის ოქმის დღის წესრიგის პირველ საკითხთან მიღებული გადაწყვეტილების მოქმედება იმ ნაწილში, რომლითაც „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს“ შეუჩერდა საქმიანობა „ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის-ინსპექტირების“ სფეროში, გარდა გაზიფიცირების სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა-ინსპექტირების შეჩერების ნაწილისა. გარდა ამისა, შეჩერდა სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ 2021 წლის 5 ნოემბრის აკრედიტაციის კომიტეტის № 23 სხდომის ოქმისა და 2021 წლის 8 ნოემბრის №01/86 განკარგულების მოქმედება, გარდა გაზიფიცირების სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა-ინსპექტირების შეჩერების ნაწილისა. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით დაკმაყოფილდა მიმწოდებლის შუამდგომლობა და დროებითი ღონისძიების სახით დასახელებული აქტების მოქმედება შეჩერდა, ხოლო მეორე ინსტანციის მიერ აღნიშნული დროებითი ღონისძიება გაუქმდა, რაც არ ექვემდებარება გასაჩივრებას. სადავოდ გამხდარი აქტების კანონიერების დადგენისათვის საჭიროა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილების არსებობა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არის სახეზე. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო აქტები მოქმედია, მიმწოდებელმა დაუყოვნებლივ შეატყობინა შემსყიდველ ორგანიზაციას აკრედიტაციის ნაწილობრივ შეჩერების თაობაზე. მიმწოდებელი აღნიშნავს, რომ აპირებს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. ამასთან, მიმწოდებელი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ითხოვს ზეპირი სხდომის გამართვას.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2024 წლის 16 იანვარს, NAT230026200 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს“ (ს/ნ: 400165405) შორის დაიდო №40 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით უნდა გაეწია 2024-2025 წლის განმავლობაში ყვარლის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებსა და 2024-2025 წელში დაწყებული მრავალწლიანი სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო

მომსახურება შემდეგ სამუშაოებზე: გზები, წყალმომარაგება, ხიდები, შენობების მშენებლობა/ რეაბილიტაცია, სკვერები, ნაპირსამაგრი, სპორტული მოედნები, მინი სტადიონები, საკანალიზაციო სისტემები, გარე განათება, სანიაღვრე სისტემები, შემოღობვის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განსაზღვრა 198 400 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2026 წლის 31 იანვარი.

4.2. სატენდერო დოკუმენტაციის 2.7.1. პუნქტის თანახმად, პრეტენდენტი აკრედიტებული უნდა ყოფილიყო სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ, შემდეგ სფეროებში:

– ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება;

– ობიექტის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების, გვირაბების, ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზემოთ), სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, წყალარინების ქსელების და სისტემების) სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა-ინსპექტირება.

4.3. საქმეში არსებული სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ 2024 წლის 16 აპრილის №GAC-03/426 წერილით ირკვევა, რომ 2024 წლის 16 აპრილს სსიპ „აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოში – აკრედიტაციის ცენტრში“ დარეგისტრირდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 15 აპრილის განჩინება, რომლითაც ძალაში შევიდა აკრედიტაციის კომიტეტის 2021 წლის 5 ნოემბრის № 23 ოქმისა და აკრედიტაციის ცენტრის 2021 წლის 8 ნოემბრის № 01/86 განკარგულება – „შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“-ს ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფეროს ნაწილობრივ შეჩერების თაობაზე“, ობიექტის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების, ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით), სუსტი დენების, გათბობა ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, წყალარინების ქსელების და სისტემების) სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის–ინსპექტირების სფეროში.

4.4. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას 2024 წლის 18 აპრილის № გ805 წერილით აცნობა, რომ ნაწილობრივ შეუჩერდა აკრედიტაცია ობიექტის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების, ელექტროქსელების და სისტემების (1000ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით), სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, წყალარინების ქსელების და სისტემების) სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის- ინსპექტირების სფეროში.

4.5. ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 17 ოქტომბრის №ბ88.88242912 ბრძანებით, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, შეწყდა ხელშეკრულება.

4.6. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასახული ფაქტობრივი გადახდებით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა გაწია 35 573,12 ლარის მომსახურება, რაც ხელშეკრულების ღირებულების 18%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/

მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2024 წლის 16 იანვრის № 40 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს სატენდერო დოკუმენტაციის სატენდერო დოკუმენტაციის 2.7.1. პუნქტზე, რომლის თანახმად, პრეტენდენტი აკრედიტებული უნდა ყოფილიყო სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირების და ობიექტის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების, გვირაბების, ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზემოთ), სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, წყალარინების ქსელების და სისტემების) სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა-ინსპექტირების სფეროებში. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 33.1. მუხლის მიხედვით, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე, სატენდერო პირობებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად. ამდენად, რამდენადაც სატენდერო დოკუმენტაცია წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს და მიმწოდებელს ნაწილობრივ შეუჩერდა აკრედიტაციის ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის–ინსპექტირების სფეროში, მიმწოდებელი ვეღარ აკმაყოფილებს ზემოხსენებული ელექტრონული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციების 2.7.1. პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, კერძოდ, აღარ გააჩნდა უფლებამოსილება შეესრულებინა ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები. სააგენტო ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აქტის სადაოდ ქცევა, მათ შორის, სასამართლო წესით, არ უკრძალავს სააგენტოს იმსჯელოს ამავე აქტით დამდგარ შედეგებზე, იმ პირობებში, როდესაც შეჩერებული არ არის ხსენებული აქტის (მისი ნაწილის) მოქმედება. საგულისხმოა ისიც, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს არ წარმოუდგენია სასამართლოს განჩინება, რომლითაც სააგენტოს შეეზღუდებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება, ხოლო მიმწოდებლის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მან სარჩელით მიმართა სასამართლოს, აღნიშნული ვერ გახდება სააგენტოსთვის მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების შემაფერხებელი გარემოება. რაც შეეხება ზეპირი მოსმენის გამართვას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სააგენტო უფლებამოსილია, მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს. შესაბამისად, ზეპირი მოსმენის ჩატარება განეკუთვნება სააგენტოს უფლებამოსილებას და გამოიყენება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. განსახილველ შემთხვევაში სააგენტომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია ზეპირი მოსმენის ჩატარება. ამდენად, აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სახეზე არ არის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები და არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს“ (ს/ნ: 400165405) 2024 წლის 29 მაისს მიეცა გაფრთხილება NAT230016780 ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული 2023 წლის 20 ოქტომბრის № 233 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და იგი მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ გაფრთხილების მოქმედების ვადა კი იწურება 2025 წლის 29 მაისს. ამასთან, შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ (ს/ნ: 400165405) 2024 წლის 9 ოქტომბერს დარეგისტრირდა შავ სიაში NAT230017091 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2023 წლის 9 ოქტომბრის № 52 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის

შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (მიმწოდებელმა შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 18%). შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული გაფრთხილებისა და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტების გათვალისწინებით, შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ (ს/ნ: 400165405) 2024 წლის 19 ნოემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე